წყალმომარაგების ხელშეკრულება № 194

ქ. ცაგერი

--18---- --სექტემბერი---- 2013წ.

ერთის მხრივ, **თვითმმართველი ერთეული ცაგერის მუნიციპალიტეტი (საზოგადოებრივი საპირფარეშო)** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი **მამუკა ლეთოდიანის** სახით და მეორეს მხრივ, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" (შემდგომში „მიმწოდებელი"), **წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ ცაბუტაშვილის** მინდობილი პირის, **იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური ფილიალის მენეჯერის ბექა ყანჩელის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი.

1.1 ხელშეკრულების საგანია, წინამდებარე ხელშეკრულებით, გათვალისწინებული პირობების დაცვით, „მიმწოდებელმა" უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის" სასმელი წყლის მიწოდება და აგრეთვე, სასმელი წყლისა და ჩამდინარე სითხის წყალმომარაგების სისტემით გატარება და გაწმენდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, „საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის" 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები" და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

2.1 „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს „შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2.2 „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენას „შემსყიდველისათვის" მოთხოვნის შესაბამისად (საგადასახადო ანგარიშფაქტურა, ინვოისი, წყალმზომის ჩვენების აქტი).

2.3 მიმწოდებელი, ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად, ახორციელებს დანართი №1 – ით გათვალისწინებული ობიექტების უზრუნველყოფას სასმელი წყლითა და კანალიზაციით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

3.1. „მიმწოდებელი", მოხმარებული სასმელი წყლის და ჩამდინარე სითხის წყალმომარაგების სისტემის გატარება და გაწმენდის ხარჯების დადგენას და ანაზღაურებას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით:

ა) „შემსყიდველი" წყალმომარაგების საფასურის გადახდას ახორციელებს ყოველთვიურად.

ბ) ანგარიშსწორება ხორციელდება ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა იყოს 15 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

გ) თუ გადახდის ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

3.2 დარიცხვა მოხდება ყოველი თვის ბოლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული ტარიფის შესაბამისად, **კერძოდ 1 კბ.მ-ზე სასმელი წყლის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით განისაზღვრება 3.375 (სამი ლარი და 375 თეთრი) ლარით, ხოლო წყალარინებაზე 0.932 (ნული ლარი და 932 თეთრი) ლარით, სულ 4.307 (ოთხი ლარი და 307 თეთრი) ლარი. აღნიშნული ტარიფი მოქმედებს 2010 წლის 01 სექტემბრიდან.**

3.3 ყოველი საანგარიშო თვის, მომდევნო თვის 10 რიცხვამდე მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მოხმარებული სასმელი წყლისა და ჩამდინარე სითხის გატარების მომსახურების შესაბამის ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტებს, რომელიც გამოითვლება წყალმზომის მიხედვით. შემსყიდველი ვალდებულია ყოველი საანგარიშო თვის, მომდევნო თვის 18 რიცხვამდე გადაუხადოს მიმწოდებელს მოხმარებული წყლის და ჩამდინარე სითხის გატარების საფასური.

3.4 ენერგო ანგარიშსწორების ფორმა სტანდარტულია. გადახდა ხორციელდება „მიმწოდებელი"-ს შესაბამის მომსახურეობის ცენტრში, შესაბამის საბანკო დაწესებულებებში.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 „მიმწოდებელს" უფლება აქვს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და სემეკის დადგენილებაში მოცემული ნორმების დაცვით, შეწყვიტოს მომხმარებლისათვის სასმელი წყლის მიწოდება და ჩამდინარე სითხის წყალმომარაგების სისტემით გატარება და გაწმენდა.

4.2 „მიმწოდებელს" უფლება აქვს მოსთხოვოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურეობის ანაზღაურება

4.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს მოსთხოვოს „შემსყიდველს" დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მომხმარებლის შესაბამისი ხარისხის სასმელი წყლის უსაფრთხო და საიმედო წყალმომარაგება საქართველოს კანონმდებლობის, სემეკისა და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

4.5 „შემსყიდველს" უფლება აქვს მოსთხოვოს „მიმწოდებელს" წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულება.

4.6 „შემსყიდველი" ატარებს ვალდებულებას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და სემეკის დადგენილებაში მოცემული ნორმების დაცვით, დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

4.7 არ მოიხმაროს ალტერნატიული წყალი, არ ჩაერთოს ქსელში თვითნებურად.

4.8 გადუხადოს „მიმწოდებელს" საანგარიშო თვეში მოხმარებული წყლის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით და პირობებით.

24257446D

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის.

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის, მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

5.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკისრ ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე;

6.2 თუ ვადის ამოწურვამდე 2 კვირით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ გამოთქვამს ხელშეკრულების მოშლის სურვილს, მომსახურება ავტომატურად გაგრძელდება 1 წლით.

7. ფორს - მაჟორი

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ, შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე სამოქალაქო მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების დადგომამდე.

7.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

7.3 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები დავას წყვეტენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა, ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმების გარეშე.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს, შესაბამისი ინფორმაცია. წინამდებარე ხელსეკრულებაზე ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

8.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება ,რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველის" პირობების გაუარესება. გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. სხვა პირობები

9.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარეს წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი
	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"
მისამართი: რუსთაველის ქ #69	მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი № 76 ბ
ს/კ 242574460	ს/კ: 412670097
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
	ს.ს „ლიბერთი ბანკი" ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: 220101480
ა/ა GE52LB0120172720783000	ა/ა GE77LB0113123325230012
თავმჯდომარე:	დირექტორი: არჩილ ცაბუტაშვილი
----მამუკა ლეთოდიანი----	მინდობილი პირი, იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური ფილიალის მენეჯერი - ბექა ყანჩელი

დანართი №3

ახალი მომხმარებლის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების საფასური

1. ახალი მომხმარებლის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების საფასური შეთავაზებული პაკეტის მიხედვით:

ა) ახალი მომხმარებლის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების განსაზღვრულ ვადაში (პერიოდში) უზრუნველყოფის (წყალმომარაგების განსაზღვრულ ვადაში დაწყების) შემთხვევაში:

სასმელი წყლის მილის დიამეტრი, მმ	წყალარინების მილის დიამეტრი მმ	სასმელი წყლის წარმადობა, მ³/დღეღამეში	მილის მაქსიმალური მისაერთებელი სიგრძე, მეტრი	მაქსიმალური მიერთების პერიოდი, დღე	წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების ღირებულება დღგ-ის ჩათვლით, მათ შორის		
					სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების ღირებულება დღგ-ის ჩათვლით, ლარი	წყალარინების ქსელზე მიერთების ღირებულება დღგ-ის ჩათვლით, ლარი	სულ
15	100	0-15	40	30	500	1000	1500
20		16-30	40	30	550		1550
25		31-48	40	30	600		1600
32		49-87	40	30	650		1650
40	150	88-108	100	40	3200	11500	14700
50		109-182	100	40	3300		14800
63		183-302	100	40	3400		14900
75		303-432	100	40	3500		15000
90	200	432-579	150	50	5500	20500	26000
110		580-732	150	50	5700		26200
150		733-1616	150	50	6000		26500

ბ) ახალი მომხმარებლის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების სამუშაოების განსაზღვრულ ვადაში (პერიოდში) დაუსრულებლობის (წყალმომარაგების დაწყების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის) შემთხვევაში ახალი მოხმარებლის მიერთების საფასური შეადგენს ამ პუნქტის ა) ქვეპუნქტში მოცემული მიერთების საფასურის 50%-ს (შეთავაზებული პაკეტების მიხედვით).

დანართი №1

№	სამართლებრივი ფორმა	აბონენტის დასახელება	იურიდიული მისამართი	ფაქტიური მისამართი	მრიცხველის №	მილის დიამეტრი და რაოდენობა	შენიშვნა
1	სახელმწიფო ორგანო	ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა	რუსთაველის ქ №69	კოსტავას ქ	656891	15მმ	